№ 164. ივლისის 29, კვირა. 1866—1884 ივლისის 29, კვირა. № 164.

საქართველოს სახელმწიფო ბიბლიოთეკა • ტფილისი •

„დროების“ რედაქცია—სიმონსონოვის ქუჩაზე, ნაზაროვის სახლში, 1-ლი კლასიკური გიმნაზიის უკან.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე; ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის აღრესი: Въ Тифлисъ, въ Редакцію „Дроэба“.

ფასი: წლით 9 მ., 11 თვით 8 მ. 50 კ.; 10 თვით—8 მ.; 9 თვით—7 მ 50 კ.; 8 თვით—7 მ.; 7 თვით—6 მ. 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვით—4 6 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.

დროება

გამოდის ყოველ-დღე ოთხშაბათის გარდა.

ფასი განცხადებისა: სტრიქონზე—ერთ კაპიკი. განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს დაუბეჭდველ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი.

«დროების» ტელეგრაფი ივლისის 29.

კვირის ტელეგრაფის სამაგიეროდ

გუშინ-წინ შემომხვდა ვაგზალზე, უცხოეთიდამ ჩამოსული ერთი ჩემი დიდი ხნის უნახავი მეგობარი, მომვარდა და აღტაცებით შემომძახა: «აა! როგორა ხარ ძმაო? რა ამბავია ჩვენს კლასიკურ აზიურ ქალაქში?» პირველს კითხვაზე შესაფერი პასუხი მივეცი და მეორეზე სრულიად არ მინდოდა პასუხის მიგება, რადგანაც სასიამოვნოს ვერას ვეტყოდი; მაგრამ რაღას ვიქმოდი! ძალა ალმართსა ხნავსო, მოგეხსენებათ, და მეც ასე დავიწყე ჩვენი ქალაქის გარემოების ამბავი: დიდი ხანია, რაც ეს ჩვენი თბილისი იცვლება და უკან-უკან იწევს, ჩემო მეგობარო, მაგრამ ეს ერთი თვეა, იგი სრულიად გადასხვაფერდა. ბარემ მინდვრები სიცხემ აუხმო და მწვანე სამოსლის ნაცვლად დამწვარი ბალახის სარტყელი შემოაცვა: შუა დღისას რომ თბილისს თვალი გადაავლო, გეგონება ქალაქისათვის გარშემო აფრიკიდამ მოტანილი სილა და ქვიშა შემოუყრიათო. თვით ქალაქში პაპანაქებაა; მიდამოს მტვერ-ნარევი ჰაერი აკრავს, ვილრჩობით, ერთი სიტყვით! მხოლოდ აქა იქ ბაღთა-კუთხეებში თუ ჩაისუნთქავს კაცა გრილსა და წმინდა ჰაერს და ისიც სალამოს 9—10 საათზე, თორემ დღისით ყველანი ბუსავით ჩაკეტილან სადგომებში. სასამართლოთა, ადმინისტრაციის და პედაგოგიის, მამონის და ლიტერატურის «იარანლები» ქალაქს გაშორდენ და გრილ აგარაკთა წალკოტებში შეექცევიან. ზოგს მათგანს დამწლეგება ეჭირებოდა და სამჭლეო წყლის (17 №. ესენტუკის წყალი) სასმელად წაბძანდენ, ზოგს ნამეტანი შრომის გამო და სიმსუქნე-მორეული მეუღლის მეოხებით ნარზანი დასჭირებია და კისლოვოდსკის დევის წყაროს მიმართეს. ზოგი კი კახურსაც ადვილად შეექცევა თბილისის ახლო მდებარე აგარაკებში... რა უჭირთ, იარანლებიც მიტომ არიან, რომ იარანულად იცხოვრონ! ვინ დასდევს წვრილ-ფეხაებს, რომელთაც ორთა-ჭალის ვირივით გაუწყვეტლად უნდა იშრომონ უკმი და საქმი, დღე და ღამე, სიგრილეში და სიცხეში, ზამთარ და ზაფხულ! ვინ კითხულობს იმათ ბედს, რომელნიც აგარაკად გასასვლელ და წყლებზე სალაღობო საშუალებას კი არა, დღიურს ლუკმასაც ვერ შოვობენ და ერთს დღეს რომ სახსნილო სჭამონ, მეორესა და მესამე დღეს წითელი მხლითა და კარტოფილით უნდა ამოივსონ მშიერი კუჭი.

— იარანლების ამბავი არ მესიაკი არ გვიკლავს გულს, არამედ ბედი საზოგადოებრივის მოღვაწესი, რომელსაც, სულს იქით რაც გააჩნდა, ყველაფერი გაიმეტა სამშობლოსათვის და დღეს მარტო სულით დარჩენილი,—სულით ობოლი—იძულებულია შეჩერდეს, დასდოს ძირს იარაღი ბრძოლისა და უცადოს, იქნებ უიმედოდ, იმ დროს, როდესაცა კელავ მოუვა დრო სამსახურისა.

ძვა და კლდე უნდა იყოს ის, ვინც ვერ შეიგნებს, რა საერთო ვითარება გვლუპავს ჩვენ ისე, როგორც დღეს დაღუპულია და დაობლებული არწრუნი, როცა იგი ე. ი. მკითხველი წაიკითხავს ამ უკანასკნელის წერილს გაზეთს „მშაკში“, რომლითაც მას სომხის მკითხველისათვის, ვინ იცის, იქნება უკანასკნელად, მიუმართავს.— აი ის წერილი.

„ჩემი აღსარება

“ჩემს მოვალეობადა ვსთელი სომხის საზოგადოებას ანგარიში მივცე ჩემის წარსულის ცხოვრების შესახებ; ორს ძმას არწრუნებს გვქონდა თბილისში მამა-პაპეული მამულები, რომელიც ჩვენი გვარის მფლობელობაში იყო ასს წელიწადზე მეტის ხნის განმავლობაში.

«ამ მამულების მხგავსი, არამც თუ ქაკასიაში, არამედ რუსეთშიაც-კი ძნელად მოიპოვებოდა. აქ იყო აშენებული ქარვასლა, ორასის მაღაზიით და თეატრით, რომელთაც ეჭირათ 1300 ოთხ-კუთხი საქენი, ბაღი—1500 ოთხ-კუთხ. საქ. საკუთარის სახლით, წყლით, გაზის ქარხანით და სხვა მოწყობილობით.

«ეს მამულები დაგირავებული იყო ნახევარ ფასად საადგილ-მამულო ბანკში და ამ ფასში ბანკს დარჩა, თუმცა მე მაიმედებდა ერთის მხრით თბილისის საზოგადოება, რომელიც მეუბნებოდა, რომ აქციონერთ საზოგადოებას შეავადგენთ და ღირებულ ფასად ვიყიდით შენს მამულსაო; მეორეს მხრით იგივე საზოგადოება იმედს მაძლევდა რომ ეჩმიაძინისთვის მაინც იყიდიდენ ზოგნი ქალაქისთვის მეეჯრებოდენ, მაგრამ ყველას ლაპარაკმა და დაპირებამ ამაოდ ჩაიარა, იმედები ვერ გამიმართლდა და ეს მამულები ბანკს დარჩა; ყოველის მხრიდგან უნუგეშოდ დავრჩი.

«როდესაც ასე ამეწეწა საქმეები და თავის შესაკრთობლად ყოველს სავანეს მოკლებული ჩემს არსებობაზედ ღა დარჩენაზედ უნდა ვზრუნავდე, მე თვითონ აღარ ვიცი, სად უნდა ვიცხოვრო და სად უნდა მქონდეს

თბილისი, ივლისის 28-ს.

ამას წინად ჩვენს გაზეთში იყო გამოცხადებული, რომ ერთი უხუცესი და დარბაისული სომხური გაზეთთაგანი, სახელად «მშაკი», ორის თვით შეჩერებულ იქმნაო. ამ პატიოსანის ორგანოს რედაქტორი ბ-ნი ბრიგოლ არწრუნი, ერთი კეთილ-გონიერი სომეხთ ინტელიგენტთაგანი, იყო მასთანავე მდიდარი და შეძლებული კაცი, მაგრამ საზოგადოებრივ სამსახურით გატაცებულმა მან ყოველივე დაივწყა და თავისი სიმდიდრე ანაცვალა თავის ეროვნობის აღდგინებისა და განდიდების იდეას.

მაგრამ საკითხველია, როგორ ინაცვალა თვით საქმემ მილიონები ბ-ნის არწრუნისა. როგორ დაიქსაქსა ისე არწრუნის საქმეები, რომ იმის მილიონად ღირებული ქარვასლა, ეს უზრუნველი წყარო სიმდიდრისა დღეს, საადგილ-მამულო ბანკს დარჩა 400,000 მანათად ისე რომ ბ-ნს არწრუნს არათუ გაზეთის ბეჭდვის საშუალება აღარა აქვს, არამედ თითქმის თავისის თავის რჩენაზეც კი ზრუნვა ეჭირება.

დიაღ, აგრეთია ბედი ჩვენის საზოგადოებრივის მოღვაწისა! გამოდით, დასდეთ თავი ქვეყნისათვის, დასჯექით

«დროების» ტელეგრაფი ივლისის 29.

კვირის ტელეგრაფის სამაგიეროდ

გუშინ-წინ შემომხვდა ვაგზალზე, უცხოეთიდამ ჩამოსული ერთი ჩემი დიდი ხნის უნახავი მეგობარი, მომვარდა და აღტაცებით შემომძახა: «აა! როგორა ხარ ძმაო? რა ამბავია ჩვენს კლასიკურ აზიურ ქალაქში?» პირველს კითხვაზე შესაფერი პასუხი მივეცი და მეორეზე სრულიად არ მინდოდა პასუხის მიგება, რადგანაც სასიამოვნოს ვერას ვეტყოდი; მაგრამ რაღას ვიქმოდი! ძალა ალმართსა ხნავსო, მოგეხსენებათ, და მეც ასე დავიწყე ჩვენი ქალაქის გარემოების ამბავი: დიდი ხანია, რაც ეს ჩვენი თბილისი იცვლება და უკან-უკან იწევს, ჩემო მეგობარო, მაგრამ ეს ერთი თვეა, იგი სრულიად გადასხვაფერდა. ბარემ მინდვრები სიცხემ აუხმო და მწვანე სამოსლის ნაცვლად დამწვარი ბალახის სარტყელი შემოაცვა: შუა დღისას რომ თბილისს თვალი გადაავლო, გეგონება ქალაქისათვის გარშემო აფრიკიდამ მოტანილი სილა და ქვიშა შემოუყრიათო. თვით ქალაქში პაპანაქებაა; მიდამოს მტვერ-ნარევი ჰაერი აკრავს, ვილრჩობით, ერთი სიტყვით! მხოლოდ აქა იქ ბაღთა-კუთხეებში თუ ჩაისუნთქავს კაცა გრილსა და წმინდა

მოვნებაო, მითხრა მეგობარმა. სხვა რამეს მიამბობდე, ისა სჯობიაო—რა გითხრა, ჩემო ძვირფასო? ჯილოსანნი და ტურნიურით შეკაზმულებიც მოგვშორდენ და, ქალაქის ხაზინის სავალალოდ, ქუჩათა მგველებს სამუშაო მოემატათ და დიდი ჯაფაც დაწვათ. მოჩურჩურ-მოკურკურე ახალგაზდა ქალ-ვაჟთა ჭუკჭუკი აღარ აცხოველებს მთვარიან ღამეებს; რომელთაც მოასწრეს სიყვარულის ბადეში ერთმანეთის გახვევა, ერთი მეორეს გაჰყვა, რომელთაც ვერა—ერთმანეთს მოშორდენ დროებით, მაგრამ ისინი ალბად ხელ-ახლავ შეიყრებიან და ახალი გრძნობით აღადგენენ შეჩერებულს მიჯნურობას. აქ გამაწყვეტინა მეგობარმა საუბარი და მითხრა: ვიცი ახირებულად მოგეჩვენება ეს ჩემი კითხვა, მაგრამ ძლიერ დამავალებ, რომ მეტყოდე, რაოდენი ადგილი უჭირავს აქაურ ახალ-გაზდათა მიჯნურობაში იმ კითხვას, რომელიც მათ ცხოვრების მომავალს შეეხება. მაგის პასუხი მე კი არა, სოლომონ ბრძენსაც გაუჭირდებოდა. მეთქი, მაგრამ შენის პატივის-ცემისათვის ორიოდე სიტყვას მხოლოდ ზოგიერთებზე მეც გეტყვი-მეთქი, ვუთხარ ჩემს მეგობარს და დავიწყე: ისინი ჩემო მეგობარო, წამიერი სურვილით აღგზნებული გრძნობის მეტს არას დასდევენ; ოღონდ ეს გრძნობა დაკმაყოფილონ და ოჯახი, ოჯახის-შვილობა, პატიოსანი და ურცხვენელი მოქალაქეობა, მოქალაქური უფლების მოპოვება, მამულის გაუმჯობესობაზე ფიქრი თუნდ აღმოსავლეთის ქარს წაუღია, თუნდა დასავლეთისას, ეგ სულ ერთია მათთვის. ქალ-ვაჟთა შორის ძვირად იპოვი ზნეობითსა და გონებრივს თანასწორობას. ამ უკანასკნელ დროში ზოგიერთებს მაინც სრულიად აერიათ დავთრები: ოთხ-მოცი წლის მოხუცი ისე გაბედვით გამოუცხადებს სიყვარულს 19-ტი წლის ქალს, როგორც შენისთანა ულვაშ-კოკობა ჭაბუკი; და უხამსი და შეუფერებელი ახალ-გაზდა ისე თავხედად და გაბედვით იჩემებს გასათხოვარს ქალს, როგორც სამფლობელო ბარათით (вводный листъ) პრისტავისაგან ჩაბარებულს ადგილის ნაჭერს. როგორი მოქალაქეობა, ოჯახობა და მამულის-შვილობა უნდა გასწიონ ამ გვარად შეერთებულმა მეუღლეებმა? დიახ, ამ უთანასწორობისაგან წარმოსდგება ის სენი, ის ოჯახის დამამხობელი მოვლენა, რომელსაც ცოლ-ქმართა შორის უკმაყოფილება ჰქვია. წინედ მაჰმადიანთ ქალი ქრისტიანს არ გაჰყვებოდა, ქრისტიანი მაჰმადიანს არ შეერთავდა და ებრაელი ორთაველს უარს ეტყოდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რედაქცია გაზ. „მშაკისა“, რომლის გამოცემაც, იძულებული ვარ, რაოდენსამე ხანს შევაყენო.

«Ცამეტის წლის განმავლობაში სომხეთის საზოგადოებისათვის ლიტერატურაში შრომის მტვირთველი დღეს ყოველსავე სავანეს მოკლებული ჩემს თავს ვეკითხები: რა საშუალებითა და ღონისძიებით უნდა გაგრძელდეს „მშაკის„ არსებობა?»

ეს მოკლედ, მაგრამ ძლიერად მოთხრობილი, აღსარება საზოგადო მოღვაწისა, თვით ნაღვლით სავსე, ნაღვლითვე ავსებს მკითხველის გულსაც. იგი აღსარება კენესაა და ძლიერი კენესაც კაცთა ნათესავის სიბრიყვითა და უმეცრებით ნატკენის გულისა, ყოველრებით სავსე ჩივილია საზოგადოების უგულობით შეურაცხ-ყოფილის თავ-მოყვარეობისა და დრტვინაა კეთილ-შობილის სულისა, რომლის უუწმინდესი სურვილი თავის სამშობლოს სამსახურისა ისე უწყალოდ, ისე შეუბრალებლივ დაითრგუნა და ფეხქვეშ გაილახა.

დღეს გრ. არწრუნი ეთხოვება იმ ადგილს, სადაც გაუტარებია თავისი უზრუნველი და ტკბილი სიყმაწვილე, მოწიწების ამბორით ესალმება იმ წმინდა ადგილს თავის მამულისას, სადაც მარხია მის მამა-პაპის ძვლები, სადაც მას ეგულვის გულისთვის ძვირფას არსებათა «ეზოს» ფიცარი».

გუშინდელი ჰერცოგი, მფლობელი და მთავარი, — დღეს ობოლ მწირად გადააქცია სომეხთ საზოგადოების სამსახურმა, სამშობლოსთვის შრომამ, ეროვნობის გამტკიცების იდეამ და ეროვნულის ცნობიერობისათვის გატაცებულმა მოღვაწეობამ.

,,Sic transit gloria mundi“.

შინაური ქრონიკა.

= ჩვენ გვთხოვენ დაბეჭდოთ შემდეგი წერილი:

თბილისის ხელოსანთა წოდებისადმი

მოსკოვის ხელოსანთა წოდებამ მოისურვა იდღესასწაულოს ასის წლის იუბილეი თავიანთ უფლებათა გავრცელებისა. ასი წელიწადი გავიდა იმ მნიშვნელობით სავსე ფაქტის შემდეგ, რაც განსვენებულის ეკატერინე დიდის მიერ ხელოსანთა მიენიჭათ უფლებანი სამოქალაქო წოდებისა და აი ამ ფაქტის მოსაგონებლად ხელოსანთა წოდების დღეს უნდა გაიმართოს სახელოსნო ნაწარმოებთა გამოფენა მოსკოვში. ეს უფრო იმისათვის არის საჭირო, რომ განცხოველდეს რუსეთში სახელოსნო საქმე, რაიცა დიდ საჭიროებას შეადგენს ეხლა, როცა ასე დაეცა და გაღარიბდა ხელოსანთა ამქრობა.

ყველა ქალაქის ხელოსანთაგანმა იცის, რა გაჭირვებაში არიან ჩავარდნილნი სხვა-და-სხვა ხელოსანთა ამქრები მოვაჭრეთაგან და აგრეთვე უცხო ქვეყნელთ ნაწარმოებთა შეცილებისაგან. გამოფენაზე კი ცხადად გამოჩნდება, რა განვითარებისა და შნოების საგნებს აწარმოებენ ხელოსნები. და რადგანაც ხელოსანთა სიმარჯვე და ოსტატობა დიაღ შესანიშნავია, ამიტომ გამოფენაზე ბევრი მოიწონებს მათს ნაწარმოებს, ბევრი მუშტარი გაუჩნდებათ მათ მეტადრე იმ საზოგადოებიდგან, რომელიც უნდობლად ეკიდებოდა ხელოსნების ნაწარმოებს და ამ უკანასკნელთ ამჯობინებს უცხო ქვეყნელთ ნაკეთებს და ნახელსაქმევს. გამოფენა დაამტკიცებს, რომ საზოგადოდ რუსეთის ხელოსნები არ ჩამოუვარდებიან უცხო-ქვეყნელთ და ამ გარემოების გამო ბაზარშიც მეტი გასავალი მიეცემა რუსეთის ხელოსნების ნაამაგევს. რაც შეეხება მოვაჭრეთაგან სყიდვას რუსეთის ხელოსანთა ნაწარმოებისას და მათ გაყიდვას იმ სახით, ვითომ იგინი ადგილობრივნი ნაწარმოებნი კი არა, უცხო-ქვეყნელ ხელოსანთა ნაღვაწევიაო, გამოფენის შემდეგ ეს მოვლენაც მოისპობა და თვით ხელოსნები უშუამაველოდ წარსდგებიან გამოფენაზე თავიანთის ნაწარმოებით. გამოფენა წაახალისებს ამას გარდა ხელოსანთა და მათ ურთიერთ შორის შეჯიბრებით გააუმჯობესებს თვით წარმოებასაც და ხელოსანთა ნაწარმოების შნოებასაც. დასასრულ ცალკე ხელოსანთა ნაწარმოების გამოფენა იმისათვის არის კიდევ საჭირო, რომ აქამომდე გამართულ გამოფენებზე ხელოსანთა ნაწარმოები ძალიან ნაკლებად და არა სრულად იყვნენ ნაჩვენები და ამასთანავე გამოიფინებოდენ არა თვით ხელოსანთაგან, არამედ მექარხნეებისა და მოვაჭრეებისაგან.

გადაწყვეტილია, რომ გამოფენაში მონაწილეობა მიიღონ ყველა რუსეთის ხელოსნებმა, მაგრამ მხოლოდ ისეთმა ხელოსნებმა, რომელნიც ამქარში არიან ჩაწერილნი; ეს იმიტომ გადასწყვიტეს, რომ მექარხნეებმა და მოვაჭრეებმა არ მოიდონ-მორწმუნეობა.

გამოსაფენად მიიღებენ მომეტებულს ნაწილად თანამდროვე ნაწარმოებს, თუმცა განზრახვა აქვთ, რომ ცოტა-დენი ადგილი დაუთმონ ისტორიულ განყოფილებასაც, რომელშიაც იქნება მოთავსებული სახელოსნო ნაწარმოებნი ყველა დროისა და ხანისა.

სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენის ქალაქის ხელოსნებს დიდად მიაჩნიათ და ესმით კიდეც განზრახულის გამოფენის მნიშვნელობა ყველა ჩვენგანისთვის ძვირფასის და საყვარელის ხელობის გასაუმჯობესებლად; იმიტომ ვაუწყებ ყველა ხელოსანს ამ გარემოებას და მოვიწვევ მიიღოს მონაწილეობა გამოფენაში, მოამზადოს, ვისაც რა ხელ-საქმე ჰსურს და გაგზავნოს გამოფენაზე.

დაწვრილებით პირობას ამ საგანზე და აგრეთვე ვადას ნამუქმედართა მასალებად ცალკე შევატყობინებ მე ბბ-ნთ საამქრო მმართველობათა უსტაბაშებს.

თბილისის ხელოსანთა თავი

ტ. ნაუმენკო.

= ამავე საგნის შესახებ გაზ. «კავკაზში» წერია შემდეგი: თბილისის სახელოსნო გამგეობამ მოუწოდა ყველა ხელოსანს მიეღო მონაწილეობა იმ გამოფენაზე, რომელიც მოსკოვში უნდა იქმნას გამართული. ეს მოწოდება თბილისის ხელოსნებმა დიდის თანაგრძნობით მიიღეს; მაგრამ გამგეობის მოწოდებაში ერთი გარემოებაა მოხსენებული, რომელიც გაუგებრობას გამოიწვევს, თუ ეხლავ არ იქმნა ახსნილი და განმარტებული.

მისთვის, რომ მათ სხვა-და-სხვა რწმენა ჰქონდათ, სხვა-და-სხვა იდეალი ცხოვრებისა, სხვა-და-სხვა ზნე და ჩვეულება და სწორედ ამისათვის ჰკრძალავდა რჯული, კანონი და სარწმუნოება მათს შეერთებას. რისთვის უარჰყო ჩვენმა თამარ მეფემ მრავალთა მეფის წულთა და სეფე წულთა ქმრობის წინადადება? რისთვის გასწყვიტა ცოლ-ქმური კავშირი სჯულიერ ქმართან? მისთვის, რომ მათ შორის მხოლოდ ხორციელი კავშირის მეტი არა შეიძლებოდა-რა, მხოლოდ ჭამა-წოლეთური გართობის მეტი არა იქნებოდა-რა და ეს არ კმაროდა მათ შესაერთებლად. ეს ანბანური ჭეშმარიტება «ვეფხის ტყაოსნის» სამეფოში როგორ არ უნდა იცოდეს ახალ-გაზდა და მოხუცმა ქალმა და ვაჟმა. რასაკვირველია ჩვენი საზოგადოება აშორდებოდა ამ სენს, რომ ჩვენს ახალთაობას ეძლეოდეს ისეთი აღზრდა, ოჯახური და საზოგადოებრივი რომელიც სულსა და გულს შეუქმნის კაცს, ჩაუნერგავს კაცობრიულს იდეალს, რომელიც შემსჭვალავს მისს არსებას, ქალსაც და ვაჟსაც გონებით გაათანასწორებს და გონებრივი ცხოვრებისაკენ მიმართავს. მაშინ „შავი კატის გარბენა“ ცოლ-ქმართა შორის არ იკმარებდა მათ დასაშორებლად. მაშინ მარტო დეკოლტეში გამოჭიმვა, ორიოდე სალონური სიტყვის სროლა, ფეხ-მარდი ცუნდრუკი არ იკმარებდა ქალ-ვაჟთა დასაკავშირებლად. მაშინ ახლად გამოჩეკილი სტუდენტი ბრასლეტს როდი წამოიცომდა მაჯაზე ზემოხსენებული მიზეზისათვის.

ეჰ, ჩემო მეგობარო! რაღა ბევრი გაგაგრძელო ამაზე ლაპარაკი! შენც კარგად იცი, რომ ჩვენთა ქალ-ვაჟთა კავშირს აკლია ის, რაც მას აკეთილშობილებს, რაც მას ზნეობითს ბეჭედს ასვამს.

— შენ ნამეტნავად გამოკიდებულხარ ფილოსოფიასო, მითხრა მეგობარმა და მომცა შემდეგი კითხვა: ჩვენი საზოგადოება და მისი ცხოვრება როგორ არის? — ჩვენი საზოგადოების გაცნობა ძნიერ ძნელია, ეუთხარ მე, რადგანაც მისი მოძებნა მოუხერხებელია, როგორც ნამდვილი საზოგადოებისა და ისე — აქაურ ცხოვრებაზე თუ რამეს მკითხავ, აი რა უნდა მოგახსენო: მთელი ჩვენი ცხოვრება სხვა-და-სხვა საზოგადოებათა კომისიებსა და კომიტეტებში იხატება და კომისიები და სამართველოები იმდენია, რამდენიც კითხვაა აღძრული ჩვენში. აბის მაგალითად წერა-კითხვის საზოგადოების სამმართველო, დრამატიული საზოგადოების სამმართველო, სასკოლო კომიტეტი, — ეგ წმ. ქართულნი დაწესებანი არიან, სადაც ქართველთა შვილნი, ქართველთა პედაგოგნი, ლიტერატორნი, პუბლიცისტები, ექიმნი და პოეტები იმყოფებიან წევრებად, დიაღ ესენი ქართველები არიან, მაგრამ ქართულად ორ სიტყვას ვერ ათქმევინებ, რადგანაც... სხვა კომიტეტები და სამართველოები ჩვენში რავდენია ვინ იცის! ახლა ამ ჩვენი ცხოვრების ცრუ ცენტრში რომ მიბძანდე მის გასაცნობლად, სწორედ რომ გულს შემოგეყრება. ათი წევრისაგან ორს ვერ ნახავ ვერც სამმართველოში, ვერც კომიტეტში და იმ ორი წევრის განაჩენის სანიმუშოდ გადმოწერას რომ მისდგე, მგონი თხუთმეტ ალაგას თავს წაადგე ბლდანელის სახელს, ან რომელიმე ანეგდოტის თავსა და ბოლოს. ეს ტყუილი არ გეგონოს, ჩემო მეგობარო. ყოველი კრება, ყოველი სხდომა ჩვენში ანეგდოტებით დაიწყება და ბლდანელზე საუბრით გათავდება. ერთმა მდივანმა თურმე «გამგეობის» მაგივრად, «ბლდანელობა» დასწერა და ერთმა კომისიის წევრმა, რომლის გვარიც „ბ“-ით დაიწყებოდა «ბლდანელი» მოაწერა თავის სახელის მაგივრად. შენს მტერს, იმათ საქმე დაემართებოდათ, რომ უმაღლესი მთავრობისათვის წარედგინათ ამ გვარი განაჩენი! ან კი რა გასაკვირველია, რომ ბლდანელისაგან ასე მოჯადოული იყოს ჩვენი საზოგადოება. მისი «ფადრეთი» ისეა გავრცელებული ჩვენში, როგორც ბარიბალდისა იტალიაში. შედარებითს ლაპარაკიც ბლდანელს უჭირავს პირველი ალაგი. ერთს აქაურს თავადს ილია ჭავჭავაძის ბანკური ნიჭის ძალა უნდოდა გამოეხატა და აი რა სთქვა: ილია ბანკის საქმეში ბლდანელია, ტყუილად ნუ ეტორლიალებით იმასაო. კომისიათა და სამმართველოთა წევრების ამბავს თუ იკითხავ, მოგახსენებ, რომ მათ ერთი შესანიშნავი თვისება მიითვისეს: ეს გახლავს «ყველგან - მყოფობა». არიან მაგალითად ისეთი წევრები, რომელნიც ერთსა და იმავე დროს $33^1/_2$ (ოც-და-ცამეტ ნახევარ) კომისიაში იღებენ მონაწილეობას. ამ გვარი წევრი ზოგან «რეჩის» თქმას მოასწრობს, მაგრამ მონაწინააღმდეგის პასუხს ველარ მოუცდის, რადგანაც მეორე კომისიაში უნდა წავიდეს: ზოგან მოეჩვენება მხოლოდ სხვა მსხდომარე წევრებს, ზოგან კარებში შეიხედავს, ზოგან შეეცარს დაუძახებს, ცოლი ლოგინად დამიწვაო, ზოგან სულ არ მივა, მაგრამ ამითი რა დაშავდება? ხვალ განაჩენს მიუტანებენ, ხელს მოაწერს, როგორიც უნდა იყოს ეს განაჩენი და, თუ მაინც და მაინც საყვედური უთხრა ვინმემ, (ან კი ვინ ეტყვის საყვედურს? ყველანი ცოდვილნი არიან) თავს ადვი-

ბამგეობის განცხადებით გამოდის რომ გამოფენაზე ექსპონენტად, ანუ მონაწილედ შეიძლება მხოლოდ ის ხელოსანი იყოს, რომელიც ამქარშია ჩაწერილიო, მაგრამ მოხსენებული კი არ არის სახელდობრ, რომელთ შეუძლიანთ მონაწილეობის მიღება: მარტო ოსტატებს და სხვა და სხვა მაღაზიის პატრონებს, თუ მათ ქარგლებსაც. ძალიან დასანანი იქნება, თუ ექსპონენტთა რიცხვიდამ გამორიცხულნი იქმნებიან ქარგლები, რადგან ხშირად ამათის შრომით აქვს ხოლმე სახელი გავარდნილი რომელსამე მაღაზიას და ფირმას.

= მეორე (Ყუბნის) საფილოქსერო დასი სინჯავდა ივლისს 16—22-მდე Მიგენფელდის და Როზენფელდის კალონიების ვენახებს, Ტემირგოევის სტანიცაში, რომელიც Მიგენფელდიდამ 25 ვერსის მანძილზე მდებარეობს და აგრეთვე კერძო მამულებში, რომელნიც Ყუბანის მარცხენა მხარეზე იმყოფებიან, Კავკასიის სტ. ახლო. Მიგენფელდის კალონიაში დასს აღმოუჩენია ფილოქსერა 200 კვ. საჟ. სივრცეზე ვაჭრის Ლარიონ Ივატოვის ვენახში; Ტემირგოევის სტ., რომლის 7 ბაღშიაც ვაზი მხოლოდ რამდენიმე ძირია, ფილოქსერა აღმოჩენილ იქმნა ურიადნიკის Პედიკოვის და Ბანდრენკოს ბაღებში; Ყუბანის მარცხენა მხარეზე ფილოქსერა უნახავთ სულტანი-Მურად-Ბირეის ბაღში.

საფილოქსერო დასი ამტკიცებს, რომ ხსენებულ ალაგას ფილოქსერა გავრცელებულია ბ. Ტერაშკევიჩის ბაღიდგანაო, ხალხი არავითარ საშუალებას არა ხმარობს ამის წინააღმდეგ

ლად გაიმართლებს: ბანქოს ვთამაშობდი ამა და ამ წარჩინებულ გვამთანაო; ზოგიერთს წევრს, არ ვიცი გულ-წრფელობისაგან მოსდის, თუ სხვა მიზეზისაგან, ნამდვილადა ჰგონია, რომ განჩინებას გაჩენა, მოსაზრება და მოფიქრება კი არ უნდა, მხოლოდ ხელის მოწერა ეყოფაო. რომ შესაძლებელი იყოს, ჩემი მეგობარი, ამ გვარს კომისიის წევრებს იმ მუხლს გადავაკომდი თავზე რომელიც სჯულ-გადამავალი უმოქმედობისათვის (за противузаконное бездѣйствіе) სჯის მოხელე პირსა.

— ფილოსოფიას რომ ჩამოგათხოვე, მერმე იურისპრუდენციას გამოუდექი, შე მამაცხონებულო; როგორ იქმნება ასეო? შემომძახა მეგობარმა; ადექ ნაცნობების ნახვა მინდა დამათთან მიმიყვანეო. დავაპირეთ წასვლა, მაგრამ ვინც კი ნაცნობი ჰყოლოდა, ყველა უქეიფოდ ბრძანდებოდენ: ზოგს თავი ჰქონდა გატეხილი, ზოგს ხელი ნაღძობი, ზოგი ნადუელევი, ზოგი დუელს ემზადებოდა. „ღმერთო, რას მოვესწარით ამასო! წამოიძახა ახალმა სტუმარმა. მაშ როგორ გეგონა? Ოფილა საჭირო ფილოსოფია და იურისპრუდენცია თუ არა, მეთქი? მაშ როგორ. გეგონა, ჩემი მეგობარო, კაცს რომ ჭამა-სმის ინსტინქტის მეტი აღარა შერჩება რა და

ცხოველური გრძნობის ვარჯიშის მეტი აღარა აბადია რა, მოქალაქეობრივი თავმოყვარეობა და ნიმატი რომ გამოელევა—რაღა უნდა ჰქნას მაშინ, თუ არ ერთმანეთის წეწვა-გლეჯაში გაატაროს დროო!? ამ დროს ჩვენთან მოვიდა ერთი ახალგაზდა ჩამომხმარი პედაგოგი. შევატყე, რომ ჩემს მოუბარს გაეხარდა, რადგანაც ამისგან მოელოდა ცოტათი მაინც სამხიარულო ამბავს. როგორ მიდის თქვენი სკოლებიო, ჰკითხა მას ჩემმა მეგობარმა. პედაგოგმა ასე მოახსენა: я очень хорошо знаю наши школи, но знаю также и Германскіе: я билъ въ Штутгардтѣ видѣлъ я тамъ такой класъ въ которомъ 13½ отдѣленій, и замѣчательно, что со всѣми отдѣленіями занимается одинъ учитель, который прекрасно ведиотъ дѣло обученія, по всѣмъ правиламъ нѣмецкой педагогіи; занимается до и послѣ обѣда и получаетъ всего въ годъ 60000 пфениговъ, что на наши деньги составляетъ 300 р. Ეს სადაური პედაგოგიაო, მკითხა მეგობარმა. Ეგ ახლად ჩამოსული ქართველი პედაგოგია, ვუთხარ მე და რადგანაც იმის კითხვის მიზეზს ადვილად მიეხვდი, განვაგრძე: ქართულად ლაპარაკი რა-

---

და სრულიად წარმოდგენილი არა აქვს, რა დიდი ზარალი შეუძლიან მოუტანოსო მათ ამ მწერმა („Кавказъ“.)

= Გაზ. «Кавказъ»-ში» დაბეჭდილია ერთის სომხურ გაზეთებზე ხელის-მომწერთაგანის წერილი, რომელიც, ვგონებთ, საინტერესო იქნება ჩვენის მკითხველებისთვის და ამიტომ მოგვყავს აქ სრულიად:

«Ამ წელს Თბილისის სომხურ გაზეთებს ვერაფერი დარი დაუდგათ, ხოლო ხელის მომწერლებს ხომ უფრო ცუდად მოუვიდათ საქმე. Წარსულის წლის ქრისტეშობისთვეს მე მოვაწერე ხელი სამს ყოველ-დღიურ სომხურს გაზეთზე: «Მშაკზე», «Მელუზე» და «Ნორ-Დარზე» და თითოეულში მივეცი თითო თუმანი—სულ 30 მან. ყველა სამ რედაქციისაგან უნდა მიმეღო წლის განმავალობაში 900 ნომრამდე. Გაზეთი «Მშაკი» შინაურ მიზეზთა გამო მე-65 ნომერზე შეჩერდა. Გაზეთი «Მელუ», რომლის რედაქციამაც ხელის-მოწერის დროს გამოაცხადა, რომ ეხლა ისე ღონივრად ვგრძნობთ თავსა, რომ არა თუ ყოველ-დღე, დღეში ორჯერ--და სამჯერ შეგვიძლიან გაზეთის გამოცემაო, მხოლოდ 57 ნომერი გამოვიდა. Დასასრულ ახალმა გაზეთმა «Ნორ-Დარმაც», რომელიც დიდის ამბით და დაპირებით გამოვიდა პირველ-ხანებში, მალე დაიწყო ასკინკილა სიარული, პარასკევობით, მოსლემინთა უქმის პატივის-ცემით, აღარ გამოდიოდა, შემდეგ—აი ეს რედაქცია გადვიტანეთო, მუშებმა მუშაობაზე უარი სთქვესო და სხვ. – სულ ამ 208 დღეში მხოლოდ 122 ნომერი გამოვიდა და ახლა უცებ აცხადებს, რომ, «რადგანაც რედაქციის ადმინისტრაციაში (?) ცოტაოდენი ცვლილებანი უნდა მოხდესო, ამისათვის ერთს ორს კვირას გაზეთი რიგზე ვერ გამოვაო». Და მართლაც მეორე დღეს აღარ გამოსულა, ხოლო მომავალში რა იქნება—ამის თქმა ძნელია, თუმცა არც ის ვიცით, სადაური ცვლილებანი მოხდა გაზეთის მედიდურ ადმინისტრაციაში.

Ამ გვარად სამის გაზეთის დამბარებელს, დღეს აღარც ერთი გაზეთი არა მაქვს! Შევნიშნავ კიდევ, რომ თითქმის სამივე გაზეთი, თითქო პირობა მიუციათ ერთმანეთისათვისაო, მატერიალურად სასჯელს აყენებენ სწორედ თავიანთ წლიურ ხელის-მომწერლებს. მაგალითად ნომრობით სყიდვის დროს ყოველი მათგანი 5 კაპ. ღირს. Ამ ანგარიშით „Მელუს“ 57 ნომერში, 65 «Მშაკისაში» და 122 „Ნორ-Დარისაში“ უნდა გადამეხადნა 12 მან. 20 კაპ. ანუ წლის დასასრულამდე სულ 18 მანათამდე, ის კი არა თუ მე იგინი დამიჯდენ 30 მანათად.

Ამ ფაქტებს განმარტება აღარ ეჭირვებათ ჩვენის მხრით.

= Გაზ. «Ასპში» ეკითხულობთ შემდეგს: წამახალისებელ ღონისძიებათა წყალობით Რუსეთის შაქარი დიდს ბაზარს შოულობს Ხვარსეთში. Ამ წლის დამდეგიდამ ივლისის 1-მდე მარტო Ბაქოდამ Სპარსეთში წაღებულ იქმნა 17,126 ფუთი შაქარი—რაფინადი და ფხვნილი შაქარი პირველი სორტისა, და ამასთან აქციზი შაქრის გამყიდველთ უბრუნდებათ

ღაც არ ეჭაშნიკება და რუსულშიაც თუ კოჭლობს, ეგ ნემეცურის ბრალია; ხომ იცი, პეტერბურგის პროფესორებს ნემეცური ენა როგორ უფუჭებს კილოს-მეთქი. Ძილო კარგი, როგორიც უნდა იყოს, ეგ 300 მანეთი მასწავლებლის ჯამაგირი, 13½ განყოფილება, ერთი მასწავლებელი და დილა საღამოს მეცადინეობა, რომელს პედაგოგიაში სწერიაო, განცვიფრებით მიპასუხა მოუბარმა. Ეგ ჩემი საქმე არ არის, მაგის პასუხს პედაგოგი მოგცემს-მეთქი და გავსწევიტე საუბარი.

Რა კი ქალაქის ამბავი ყველაფერი გულსაწვავი გაიგო ჩემგან, მერმე ჭუთაისზე დამიწყო კითხვა. მაგრამ საუბედურო ვერც ამ მტვერიანი ქალაქის ამბით გავახარე ჩემი მოუბარი. Აქეთ ბანქო, იქით ბანქო, ზეით ბანქო, ქვეით ბანქო, ბულვარში ბანქო, კლუბში ბანქო, ოჯახში ბანქო, თითქმის ზოგიერთი ქალიც ბანქო, სულ ბანქო, სულ ბანქო—ამას რომ ვამბობდი, მეცა ჩემი მეგობარი და ჩამეკითხა: კაცო, ხომ არ გაგიჟდი? რა ენა-მეთქი, სერიოზულ საგნებზე გელაპარაკე და არა გამოვიდა-რა, და ეხლა სათამაშო საგანზე უნდა მელაპარაკნა, მა რაუნდა მექნა-მეთქი. Ისევ ფილოსოფიურ საგნებზე ილაპარაკე, თუ ღმერთი გწამსო, მითხრა და

ფუთზე 65 კაპ. სულ ხვარსეთში წაღებულ შაქარზე გადამტანელთ დაუბრუნდათ აქციზი Ბაქოს ხაზინიდამ 11,131 მან. 90 კაპ.. Თან-და-თან უფრო-და-უფრო მეტს შაქარს ეზიდებიან. Ამას უნდა დავუმატო კიდევ, რომ Ასტრახანის ტამოჟნიდამაც არა მცირედი შაქარი მიდის Სპარსეთში და იქაც შაქრის გამყიდველთ აქციზი უკვე უბრუნდებათ. Ამ სახით მთავრობა რამდენსამე ათი-ათასს მანათს არა ზოგავს მარტო იმიტომ, რომ რუსეთის შაქარი გაასაღონ ვაჭრებმა Სპარსეთში ორის პორტიდამ ე. ი. Ასტრახანიდამ და Ბაქოდამ. Ჩვენ გვგონია მოხსენებული რაოდენობა შაქრისა გაიყიდება Სპარსეთში, აქციზიც რომ არ ეპატიებინათ მოვაჭრეებისათვის, რადგანაც ტრანზიტი მოსპობილია და უცხოეთის შაქარი აღარ მიდის იქ ამიერ Კავკასიით. Რუსეთის მოსამზღვრე Სპარსეთის თემნი იძულებულნი არიან ძალა-უნებურად Რუსეთის შაქრით დაკმაყოფილდენ, რადგან უცხოეთის შაქრის ზიდვა Ბენდერ-ბუშირზე და Აზიის ომალეთზე ძალიან ძვირადა ჯდება დიდის მანძილისა და შიშიანობისაგამო გზაზე.

ხოლერა ევროპაში

Როგორც Ტულონში, ისე Მარსელში ხოლერა შესუსტდა და ავადმყოფების რიცხვი თან-და-თან კლებულობს. Მაგრამ კაცი გადაწყვეტით ვერ იტყვის, რომ ეს სენი კვლავ კიდევ მეტის სიძლიერით არ მოედება ხალხს, რადგანაც მთავრობა დღემდის არავითარს საშუალებას არა ხმარობს

მეც პირობა მივეცი შემდეგი კვირისათვის ფილოსოფიური ფელეტონი ვუძღვნა მკითხველს და ფილოსოფიურად გავესაუბრო ჩემს მეგობარს.

ს—ნი

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ ადგილის გასასუფთავებლად, საცა ხოლერაა გაჩენილი.

ბ. ᲙᲚᲔᲛᲐᲜᲡᲝᲛ საქალაქო რჩევაში გამოაცხადა, რომ ქალაქის ქუჩების უსუფთაობა უკანასკნელს სამზღვრამდის მისულაო და სენის გაჩენის დღიდგან დღევანდლამდე მმართველობას ხელი არც კი გაუნძრევია ქუჩების გაწმენდისათვისა. მისის აზრით ცალკე კომისია უნდა შესდგეს სანიტარული და ამას მიენდოს ქალაქის გასუფთავების საქმე. საზოგადოდ ბ. ᲙᲚᲔᲛᲐᲜᲡᲝ გაშტერებული დარჩა ქალაქ მარსელის განაპირა ქუჩების უსუფთაობით. ერთს სახლში, სადაც საშინელი სიმყრალის სუნი იდგა, ხოლერით 19 კაცი მომკედარიყო, მეორე ადგილას სამს უპატრონო ბავშს შეხვედროდა, რადგანაც უფროსები ამ სენს ემსხვერპლა.

მარსელი ამ ჟამად წაროადგენს მოსაწყენს, დაღვრემილს სურათს, რადგანაც ქალაქიდგან 80,000 კაცამდის გაიხიზნა, იქ მცხოვრებნიც დიდს გაჭირვებაში არიან, თუმცა მათთვის იაფი ფასის სასადილოებია გამართული. Итალიიდგან ორის კაცის ხოლერით ავადგახდომას გვატყობინებენ; ერთი მათგანი გამხდარა ავად „ლუკას“ პროვინციაში მეორეც ᲙᲣᲜᲫᲣᲚᲡ პალმირიეში სიცილიის მახლობლად. Органнеі ავად გამხდრები საფრანგეთიდგან მისული მუშები ყოფილან.

ტელეგრამები

(„ᲩᲠᲓᲘᲚᲝᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲯᲣᲜᲢᲝᲡᲘ“)

ივლისის 27

ᲠᲝᲛᲘ. სერმეცანოს კანტონში ორი კაცი მოკვდა, კარინიანოში და ოსოდისში თითო, ᲕᲐᲜᲙᲐᲚᲘᲔᲠᲨᲘ—2; ვინიეროლში ხეთი კაცი გახდა ხოლერით ავად; კაირო-ში, მონტენოტის ოლქში და სერმეცანოს კანტონში მისვლა-მოსვლა შეწყვეტილია.

ᲕᲔᲜᲐ. დღეს დასაჯეს სიკვდილით ანარხისტი შტელმახერი, რომელსაც დაჭბრალდა მკვლელობა გაცარცვისათვის.

ივლისის 28

ᲑᲠᲘᲣᲡᲔᲚᲘ. ᲕᲐᲚᲐᲢᲐᲛ მიიღო წინადადება რომ დიპლომატიურ მიწერ-მოწერა ვატიკანთან განახლდეს.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ. ᲕᲝᲠᲢᲐᲛ გამოაცხადა, რომ იმ გემებმა რომელნიც შავიზღვიდამ ხმელთა-შეა-ზღვაში მიდიან შეუჩერებლივ დარდანელის სრეტეში და იმ გემებმა რომელნიც მიდიან შავი-ზღვისკენ სადი ადგილებიდამ, კარანტინი არ უნდა გამოიარონ.

განცხადებანი

დაიბეჭდა და ისყიდება

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲬᲔᲠᲘᲡ ᲓᲔᲓᲐᲜᲘ

ვ. გაბიჩვაძისა.

გამოტემული ექვთიმე კატიტაძისაგან.

ნაწილი პირველი (მსხვილი ხელი ბადეში). ფასი 12 კაპ. ვინც ათს ეგზემპლიარზე მეტს იყიდის, ეგზემპლიარი ორ-შაურად დაეთმობა. წყობა: თბილისში, ცენტრალურს წიგნის მაღაზიაში, ᲖᲝᲚᲝᲕᲘᲜᲡᲙᲘᲡ ᲞᲠᲝᲡᲞᲔᲥᲢᲖᲔ, ᲭᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ, Ი. ᲛᲣᲠᲐᲓᲝᲕᲘᲡ წიგნის მაღაზიაში. (3—3)

ახლად გაიხსნა თბილისში

მეხანიკური ქარხანა

სახელწოდებით

„ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔ“

Арсенალის აღმართზედ, სასწორის პირ-და-პირ, ინტენდანტსტეოს გვერდზედ, სახლის № 5, თავ. ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲘᲐᲙᲝᲑᲘᲡ-ᲫᲔ ᲔᲠᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡᲐ.

ᲥᲐᲠᲮᲐᲜᲐ მიიღებს ყოველგვარ სამეხანიკო სამუშაოს სხვა-და-სხვა მოწყობილობითურთ, სტალიარისას, სლესარისას და სპილენძის საკავშიროებს, წყლის გასაყვან მილებისას ბოსტნების მოსარწყავად, ფონტანებისას, როგორც ბაღებში ისე ქალაქის სახლებში, ხოლო უფრო სოფლებში. ᲥᲐᲠᲮᲐᲜᲐ მიიღებს ყოველ გვარ სამუშაოს ᲑᲑ-თ მიწათ-მომქმედთა და სოფლის მეურნეთა სოფლის მეურნეობისა და საჭიროებათა შესახებსა. ᲧᲕᲔᲚᲐ სამუშაო საუკეთესო ოსტატებისაგან იქმნება გაკეთებული თავდებობით რამდენსამე ხანს. მეურნეთა მოთხოვნილებათა-მებრ გაეგზავნებიან დაუყონებლივ ოსტატები შემოკვეთილის სამუშაოს გასაკეთებლად. ᲧᲕᲔᲚᲐ ნივთსა და იარაღს, რომელიც არ გამოდგება, ქარხანა უკან მიიღებს და ფულს დაუბ უნებს მსყიდველს, ან სხვაზე შეუცვლის სურვილისამებრ. ᲥᲐᲠᲮᲐᲜᲐᲨᲘ არის გასასყიდად ჩვენგან გაკეთებული და გაუმჯობესებული მოწყობილობა (აპარატი) წიწილთ საჩეკად ხელოვნურის წესით, უკრუხოდ. სია აპარატებისა და ჩემ-მიერ მომზადებულის ნივთებისა და აგრეთვე დარიგება წიწილთ-საჩეკის მოხმარებისათვის გაეგზავნება მსურველს მუქთად. ᲥᲐᲠᲮᲐᲜᲐᲨᲘ მიიღება აგრეთვე შეკვეთა წყლის წისქვილის გასაკეთებლად. ᲣᲛᲝᲠᲩᲘᲚᲔᲡᲐᲓ ვსთხოვთ ქალაქის გარეშე შემკვეთელთ თავიანთი ადრესი გარკვევით დანიშნონ. ᲥᲐᲠᲮᲐᲜᲘᲡ კანტორა ღია მუდამ დღე 8 საათიდამ 2 საათამდე და 5—8-მდე საღამობით, კვირა, უქმე-დღის გარდა.

ᲥᲐᲠᲮᲐᲜᲐ მალე მიიღებს საშენებელს იარაღებს, ხოლო მიღებამდე საუკეთესო მაღაზიებიდამ იყიდის და გაუგზავნის თავის მუშტარს.

(10—7)

ᲐᲠᲬᲠᲣᲜᲘᲡᲔᲣᲚ ᲥᲐᲠᲕᲐᲡᲚᲐᲨᲘ

სასახლის ქუჩაზედ, იძლევა ქირით მაღაზიები, სადგურები კანტორებისა, სავაჭრო სახლებისა და საწყობებისათვის. Пირობების შეტყობა შეიძლება ქარვასლის კანტორაში. (25—4)

ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲒᲠᲐᲤᲘᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ᲙᲝᲜᲐ პირველ-დაწყებითი მოთხრობებისა ბუნების მეცნიერებიდგან, შედგენილი ᲘᲐᲙᲝᲑ ᲑᲝᲒᲒᲔᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ, მეორე გამოცემა, შევსებული და შემკული სურათებით. ფასი ათი შაური. ᲕᲘᲜᲪ ერთად იყიდის ოცსა ან მეტს ცალსა, წიგნი დაეთმობა 42 კაპეიკად.

ᲓᲔᲓᲐᲜᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲬᲔᲠᲘᲡᲐ, სასწავლებლებში სახმარებელი, შედგენილი მისივე, მთლად ამოითხარა ქვაზედ, იბეჭდება უკანასკნელი თაბახი და მზად იქმნება გასასყიდად პირველის აგვისტოსათვის. Დედანი იპყრობს: სახატავებს, ხელის სავარჯიშოებს, ქართული ასოების, ნაწილებს, მრგვალს ხელს, ორასზედ მეტი სურათით,—მრგვალი ხელი თავში მოთავსებულია ბადეში, შემდეგ ექვს მწოლარე ხაზს შუა, ოთხს ხაზს შუა, ორს ხაზს შუა, ერთს ხაზზედ და ბოლოს უხაზოდ,—ეს პირველი განყოფილება თავდება წვრილი მრგვალი და შუალა ხელით. შემდეგ არის დაბეჭდილი ნუსხური ჯერ გადაუბმელად, მერმე გადაბმით—მომსხო და წვრილი ხელი. ბოლოში არის დამატება, რომელიც იპყრობს თორმეტს ნიმუშს სხვა-და-სხვა ძველი საუკეთესო ნაწერებიდგან გადმოღებული ხელისას. ამას გარდა დედნის დასასრულში ჩართული იქნება ერცელი დარიგება მასწავლებელთათვის. ფასი ექვსი შაური. Сკოლებს და მაღაზიებს დედანი დაეთმობათ ხუთ შაურად, როცა იყიდიან ერთად ოცს ან მეტს ცალსა.

Сაწყობი—ᲖᲠᲘᲥᲣᲠᲝᲕᲘᲡ მაღაზია, ᲙᲣᲙᲘᲘᲡ ხიდის ყურთან.

(10—5)

გამოვიდა

(ცალკე წიგნად

ᲡᲐᲛᲔᲒᲜᲘᲔᲠᲝ ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲒᲐᲠᲘ ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲒᲐᲠᲘᲡ ᲬᲘᲗᲚᲘᲡ

მოთხრობა

ᲕᲔᲚᲘᲡ ᲬᲘᲗᲔᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ

(„ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲡ“ რედაქციის გამოცემა)

ფასი 30 კაპ.

(ვინც ოცს ეგზემპლარზედ მეტს აიღებს საკუთარ ფასად, 10% დაეთმობა.)

ᲬᲘᲒᲜᲘ ᲘᲡᲧᲝᲠᲔᲑᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲨᲕᲒᲠᲔᲑᲘᲡ ᲑᲐᲦᲐᲖᲘᲐᲨᲘ, ᲩᲐᲠᲩᲕᲘᲡᲚᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲨᲘ ᲓᲐ ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲡᲐᲒᲔᲜᲢᲝᲨᲘ. ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ ᲨᲕᲔᲓᲘᲡᲗᲐᲜ, ᲑᲐᲗᲣᲛᲨᲘ. ᲑᲐᲗᲣᲛᲨᲘ, ᲛᲝᲡᲔ ᲜᲐᲜᲘᲐᲜᲘᲡ ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲨᲘ. ᲗᲔᲚᲐᲕᲨᲘ, ᲡᲐᲯᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲨᲘ. ᲐᲠᲗᲝᲑᲐᲨᲘᲐᲓ ᲧᲘᲓᲕᲐ ᲛᲘᲔᲑᲘᲡ ᲓᲔᲠᲑᲔᲚᲘᲡ «ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲡ» ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲦᲐᲛᲘᲗ. (10—10)

მიიღება ამ 1884 წ. ხელის-მოწერა. ხელის-მომწერელს ᲧᲕᲔᲚᲐ გამოსული ნომრები გაეგზავნება

საყოველთვეო ურმათა საკითხავი სურათებიანი ჟურნალი

„ᲜᲝᲑᲐᲗᲘ“

ᲞᲔᲓᲐ�გᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ.

მთელი წლის გამოტემა ჟურნალი „ᲜᲝᲑᲐᲗᲘ“-სა შეიტავს 12 წიგნსა.

ᲣᲠᲛᲐᲗᲐ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲐᲕ ᲬᲘᲒᲜᲨᲘ იბეჭდება: ლექსები, მოთხრობები, ზღაპრები, სურათები ხალხის ცხოვრებიდამ; ბიოგრაფიული მოთხრობები, მოგზაურობა, ეპიზოდიური მოთხრობები ისტორიიდამ, ამბები გეოგრაფიიდამ და ბუნების მეცნიერებიდამ; იგავები, ანდაზები, გამოცანები, შაირები, არითმეტიკული გამოცანები; სათამაშოები, რებუსები, სიმღერები ნოტებით და სხვ.

ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲐᲨᲘ—ᲛᲨᲝᲑᲚᲗᲐ და ᲐᲦᲛᲖᲠᲓᲚᲗᲐᲗᲕᲘᲡ—იბეჭდება: ᲞᲔᲓᲐ�გᲝᲒᲘᲣᲠᲘ სტატიები მშობლთა და აღმზრდელთათვის შესახებ უმაწვილების აღზრდისა და სწავლისა (ᲞᲘᲠᲕᲔᲚ-ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲘᲗᲘ), კრიტიკული და ბიბლიოგრაფიული სტატიები ᲞᲔᲓᲐ�გᲝᲒᲘᲣᲠᲘ თხზულებებისა, ᲞᲔᲓᲐᲗᲐᲒᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ და უცხოეთის ცხოვრებიდამ, ნარკვევი, «ᲜᲝᲑᲐᲗᲘ»-ს ფოსტა. განცხადებანი.

ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ «ᲜᲝᲑᲐᲗᲘ» ქალაქს გარეშე გაგზავნით და ქალაქში დარიგებით წელიწადში ღირს ოთხი მანეთი, ცალკე ნომერი ათი შაური.

Маრტო ნახევარ წლის ხელის-მოწერა არ მიიღება.

ხელის-მოწერა მიიღება: თბილისში—ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ «ᲜᲝᲑᲐᲗᲘ»-Ს ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲨᲘ, ალექსანდროკის ბაღთან, ხაზინის გვერდით, თუმანიშვილის სახლ. № 7 და შავერდოკის წიგნის საგენტოში. ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ—ᲭᲘᲚᲐᲫᲔᲑᲘᲡ წიგნის მაღაზიაში. ᲑᲝᲠᲨᲘ—ᲔᲒ. ᲨᲣᲠᲪᲔᲚᲐᲫᲔᲡᲗᲐᲜ. ᲗᲔᲚᲐᲕᲨᲘ—Ი. Ვ. ᲠᲝᲡᲢᲝᲛᲐᲫᲔᲡᲗᲐᲜ.

ᲤᲝᲡᲢᲘᲡ ᲐᲓᲠᲔᲡᲘ: *Тифлисъ, въ редакцію грузинскаго педагогическаго журнала «Нобати».*

Рედაქტორი-გამომცემელი Ა. Ს. ᲓᲣᲚᲐᲫᲔ.

(3—3)

Доз. ценз. Тифлисъ, 28 Іюля 1884 г. ᲡᲢᲐᲛᲑᲐ ᲐᲠ. ᲫᲐᲚᲐᲜᲓᲐᲫᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲛᲮ. ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲔᲚᲘ Გ. ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ, Рედაქტორი Ი. ᲛᲐᲩᲐᲑᲔᲚᲘ